საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბუსერისძე გრიგოლ

აბუსერისძე გრიგოლ, XI ს. შუა წლების საქართველოს *პოლიტ.* მოღვაწე, ძე აბუსერ აბუსერისძისა, არტანუჯის ერისთავთერისთავი და ხიხათა (აჭარაში) პატრონი (მფლობელი).

1046 მონაწილეობდა ღრტილის კრებაში. იყო ბაგრატ IV-ის მოკავშირე ლიპარიტ ბაღვაშთან ბრძოლაში. სამცხეში არყის ციხესთან მომხდარ შეტაკებაში ტყვედ ჩაიგდო ლიპარიტმა და არტანუჯი ჩამოართვა. ამის შემდეგ *პოლიტ.* ასპარეზზე აღარ ჩანს.

ლიტ. იხ. სტ-თან აბუსერისძენი.

ნ. შოშიაშვილი